ფიჭური სატელეფონო მომსახურების 2018-2019 წლების კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის

სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი №11

ქ. თბილისი **„27“ ივნისი, 2022 წელი**

სხდომას ესწრებოდნენ:

ლევან რაზმაძე – სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე, სატენდერო კომისიის თავმჯდომარე;

ილია ბეგიაშვილი - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე, სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

ნინო ენუქიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

გიორგი ბუთხუზი - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

ირაკლი ლექვინაძე - სსიპ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე, სატენდერო კომისიის წევრი;

ერეკლე ღვინიანიძე - საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი.

სხდომის მდივანი:

ქეთევან ქადაგიძე - სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ცენტრალიზებული შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი.

დღის წესრიგი:

2018 წლის 26 თებერვალს გამოცხადებული ფიჭური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებული ტენდერის (**CON170000115**) ფარგლებში მომსახურების გაწევის ვადის გაგრძელება **2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

განიხილეს:

სატენდერო კომისიის აპარატმა კომისიის წევრებს შეახსენა, რომ ფიჭური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო პირობების ჩამოყალიბების მიზნით, სატელეკომუნიკაციო ბაზარზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებს, **შპს „მაგთიკომს“, შპს „სილქნეტს“** და **შპს „ვიონი საქართველოს“** დაევალა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისათვის 2018 წლის აუდირებული განცალკევებული აღრიცხვის ანგარიშის წარდგენა, რის შემდეგაც კომუნიკაციების ეროვნული კომისია შეისწავლიდა 2018-2019 წლების კონსოლიდირებული ტენდერის (**CON170000115**) პირობებით მომსახურების მომხმარებლისათვის მიწოდების სუბსიდირების საკითხს.

სატენდერო კომისიის აპარატმა კომისიის წევრებს ასევე შეახსენა, რომ სუბსიდირების საკითხის სრულყოფილი მოკვლევის დასრულებამდე, ფიჭური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებული ტენდერის (**CON170000115**) მოქმედების ვადა, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებით, რამდენჯერმე, ბოლო ჯერზე კი - 2022 წლის 30 ივნისის ჩათვლით გაგრძელდა.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ, 2022 წლის 15 ივნისს მიმართა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას N2022 წერილით და სთხოვა რეკომენდაცია 2022 წლის განმავლობაში ფიჭური სატელეფონო მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოსაცხადებელი კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო პირობების განსაზღვრის თაობაზე, სუბსიდირების საკითხთან მიმართებაში.

2022 წლის 24 ივნისს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ წარმოადგინა საპასუხო წერილი N გ-22-08/1576 (თან ერთვის), რომლითაც იგი განმარტავს, რომ კომისია კვლავ აგრძელებს ფიჭური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებული ტენდერის პირობებით/ტარიფებით გათვალისწინებული მომსახურების სუბსიდირების საკითხის შესწავლას. კომისიის განმარტებით, პროცესი დროში დაყოვნდა იმ მიზეზით, რომ კომისია მუშაობს განცალკევებული აღრიცხვის ანგარიშგების მეთოდოლოგიის დახვეწა/გაუმჯობესებასა და მეთოდოლოგიის განახლებულ საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანაზე, რის შედეგადაც უნდა გაიზარდოს მონაცემების დეტალიზაცია და გამჭვირვალობა. მიმდინარე ეტაპზე კომისია იკვლევს საერთაშორისო პრაქტიკასა და მიდგომებს კროს-სუბსიდირების დადგენის კრიტერიუმებისა და მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად, რაც საკმაოდ კომპლექსური სამუშაოა და საჭიროებს მნიშვნელოვან დროით რესურს.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია კვლავ პროგნოზირებს, რომ ზემოთ მოყვანილი წინაპირობების გათვალისწინებით, ეფექტური ოპერატორის პირობებში არ უნდა არსებობდეს კონსოლიდირებული შეთავაზების სხვა მომსახურებით სუბსიდირების საფუძველი.

კომუნიკაციების ეროვნული კომისია დასძენს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ მოყვანილი ანალიტიკური სამუშაოს დასრულების შედეგად დადგინდება, რომ კონსოლიდირებული ტენდერის პირობები ბაზარზე მაინც იწვევს კონკურენციის შემზღუდველ წინაპირობებს, კომისია დამატებით გააკეთებს ინფორმირებას აღნიშნულის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სუბსიდირების საკითხის თაობაზე მოკვლევის საბოლოო შედეგებისა და დასკვნების არსებობამდე, მიზანშეწონილია, ფიჭური სატელეფონო მომსახურების მიწოდება ამჯერადაც გაგრძელდეს 2018-2019 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (**CON170000115**) პირობებისა და ტარიფების შესაბამისად. სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით, მიზანშეწონილია მომსახურება გაგრძელდეს **2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიამ დაადგინა:

1. სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობიდან და ფიჭური სატელეფონო მომსახურების შეუფერხებელი მიწოდების აუცილებლობიდან გამომდინარე, აგრეთვე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2022 წლის 24 ივნისის Nგ-22-08/1576 წერილში აღწერილი გარემოებებისა და „2018-2019 წლების განმავლობაში ფიჭური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 30 იანვრის N225 განკარგულების მე-5 პუნქტის გათვალისწინებით, 2018-2019 წლების კონსოლიდირებული ტენდერის (**CON170000115**) ფარგლებში მომსახურების გაწევის ვადა გაგრძელდეს 2023 წლის კონსოლიდირებული ტენდერის გამოცხადებამდე ან/და გამოცხადებულ კონსოლიდირებულ ტენდერში სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების გაფორმებისა და პორტირების პროცედურების დასრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს **2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

2. დაევალოს სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წინამდებარე ოქმის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა.

ოქმის რედაქცია შეთანხმებულია სატენდერო კომისიის წევრებთან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

N გ-22-08/1576
24/06/2022

1576-გ-22-08-2-202206241303

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს

თქვენ მიერ 2022 წლის 15 ივნისს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში (შემდეგში „კომისია“) წარმოდგენილ N2022 წერილთან (კომისიაში რეგისტრაციის N შ-22-6/2342) დაკავშირებით გაცნობებთ, რომ კომისია აგრძელებს ფიჭური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებული ტენდერის პირობებით/ტარიფებით გათვალისწინებული მომსახურების სუბსიდირების საკითხის შესწავლას. პროცესი დროში დაყოვნებული რჩება იმ მიზეზით, რომ, როგორც კომისიის 2021 წლის 10 დეკემბრის N გ-21-08/3472 წერილში აღვნიშნეთ, კომისია მუშაობს განცალკევებული აღრიცხვის ანგარიშგების მეთოდოლოგიის დახვეწა/გაუმჯობესებასა და მეთოდოლოგიის განახლებულ საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანაზე, რის შედეგადაც უნდა გაიზარდოს მონაცემების დეტალიზაცია და გამჭვირვალობა. მიმდინარე ეტაპზე კომისია იკვლევს საერთაშორისო პრაქტიკასა და მიდგომებს კროს-სუბსიდირების დადგენის კრიტერიუმებისა და მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად, რაც საკმაოდ კომპლექსური სამუშაოა და საჭიროებს მნიშვნელოვან დროით რესურს.

ასევე გასათვალისწინებელია გარემოება, რომ კომპანიების მიერ კომისიის სტატისტიკური ანგარიშგების ელექტრონულ ფორმებში წარმოდგენილ 2021 წლის მონაცემების მიხედვით კონსოლიდირებული ტენდერის მოხმარებასა და შემოსავლების ნაწილში მნიშნელოვანი ცვლილებები არ ფიქსირდება. აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით, კომისიის წინასწარი შეფასებით ბაზარზე არსებობს აღნიშული სეგმენტიდან დადებითი უკუგების პრეცედენტები და არ იკვეთება კროს-სუბსიდირების არსებობის წინაპირობები.

შესაბამისად, კომისია კვლავაც მიიჩნევს, რომ ეფექტური ოპერატორის პირობებში არ უნდა არსებობდეს კონსოლიდირებული შეთავაზების სხვა მომსახურებით სუბსიდირების საფუძველი. ამასთან, ზემოთ მითითებული ანალიტიკური სამუშაოს დასრულების შედეგად თუ დადგინდება რომ კონსოლიდირებული ტენდერის პირობები ბაზარზე მაინც იწვევს კონკურენციის შემზღუდველ წინაპირობებს, კომისია აღნიშნულის შესახებ დამატებით მოგაწვდით ინფორმაციას.

პატივისცემით,

ვახტანგ აბაშიძე

თავმჯდომარე - მ.შ.
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ქეთევან წამებულის გამზ.
ბოჭორმის ქ. 50/18, თბილისი, 0144

+995 32 292 16 67
+995 32 292 16 25

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია